

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს



ლუციანური თბილისის მწვავე პოზიციის შემდეგ ევროკავშირის წარმომადგენელი ჰედბერტ ბარბერი როგორც იქნა საგარეო საქმეთა სამინისტროს ესტუმრა. ბარბერის თქმით, როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის მთლიანობას. თუმცა გაუგებარი რჩება, რატომ მიუღოცა მან ანატოლი ბიბილოვს “არჩევნებში” აგამრჯვება და რატომ იყენებს ევროკავშირი ორმაგ სტანდარტებს.

„ჩვენ განვიხილეთ ის საკითხები, რომელიც თქვენთვის არის ცნობილი და გაღვივებთ. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას – ჩვენთვის ეს უდავოა. მე, როგორც ევროპული კავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, მხარს ვუჭერ ამ მიდგომას და ამას ყველგან ხაზს ვუსვამ.

რაც შეეხება არჩევნებს სეპარატისტურ სამხრეთ ოსეთის რეგიონში, ევროპულმა კავშირმა ნათელი გახადა, არ აღიარებს იმ ფორმატს, რომლითაც ეს არჩევნები ჩატარდა. მეც ასევე, ამ პრინციპს ვუჭერ მხარს. ამავდროულად, ევროკავშირი მოწოდებუდია, კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაში თავისი წვლილი შეიტანოს და ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც ევროკავშირი და პირადად მე, ჩართული ვართ ყენევის მოლაპარაკებებში. ეს არის ჩემი მანდატის ძირითადი იდეა“, – განაცხადა ბარბერმა.

თუ ბატონი ბარბერი სეპარატისტურ რეჟიმისთვის “გამარჯვების” მიღცვას კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას უწოდებს, მაშინ ყენევის მოლაპარაკებების და საერთოდ, ევროკავშირის მშვიდობიანი

როდი ეჭვქვეშ დგება. კონკრეტური ახსნა– განმარტება, თუ რა პოზიციას იკავებს ევროკავშირი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატისტული რეჟიმების მიმართ საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს იანოშ ჰერმანს გაუკეთებია. ევროპელი მაღარჩინოსნები მხოლოდ საქართველოს სუვერენიტეტის შესახებ საუბრობენ.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო...

www.premiumi.ge